



პრესრელიზი

საქართველოს მთავრობა და მსოფლიო ბანკი ეროვნული ტურიზმის განვითარების სტრატეგია-2025 შემუშავებს

თბილისი, 2014 წლის 3 დეკემბერი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მსოფლიო ბანკის ჯგუფის ფინანსური მხარდაჭერით ეროვნული ტურიზმის სტრატეგიაზე მუშაობის დაწყება ოფიციალურად აღნიშნეს. აღნიშნულზე აქტიური კონსულტაციები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ბოლო რამდენიმე თვეა მიმდინარეობს.

“საქართველოს მთავრობისთვის ტურიზმის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რადგან ეს სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ აღმავლობას. ტურიზმის სფერო აერთიანებს მრავალ სხვადასხვა დარგს, ამიტომ მისი განვითარებისთვის გადამწყვეტია მჭიდრო უწყებათაშორისი კოორდინაცია. ასევე, თანამშრომლობა კერძო და არასამთავრობო სექტორებთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, ტურიზმის სტრატეგიის შემუშავება მკაფიოდ წარმოაჩენს სფეროს წინაშე არსებულ გამოწვევებს და განსაზღვრავს იმ ძირითად მიმართულებებს, რომლებიც საფუძვლად დაედება ქვეყანაში ამ მნიშვნელოვანი სექტორის განვითარებას“, განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა.

„მსოფლიო ბანკის ჯგუფის „საქართველოსთან თანამშრომლობის სტრატეგია“ ტურიზმის სექტორის, მასთან დაკავშირებული ბიზნეს შესაძლებლობების და კერძო ინვესტიციების განვითარებას ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებად აღიქვამს. მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ერთობლივი ძალისხმევა მეწარმეობის განვითარებაზე, ფინანსებზე უკეთ წვდომის უზრუნველყოფაზე, საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაზე და საქართველოს ტურიზმის სტრატეგიის შემუშავებაზეა მიმართული. ამ სტრატეგიამ უნდა აჩვენოს, თუ როგორ უნდა მოხდეს სექტორის გაუმჯობესება, განხორციელების მხრივ არსებული პრიორიტეტების გადანაწილება და სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა“, განაცხადა მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში, ჰენრი კერალიმ.

„ტურიზმი და მოგზაურობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია, რომელსაც სამუშაო ადგილების შექმნაში უდიდესი წვლილი შეაქვს. 2013 წელს ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 14.2 პროცენტი მუშაობდა. აღნიშნული სექტორი

მთლიანი შიდა პროდუქტის 6-7 პროცენტს შეადგენს. დღეისათვის, ტურიზმი საქსპორტო შემოსავლების 20 პროცენტს ქმნის. შესაბამისად, ეროვნული ტურიზმის განვითარების სტრატეგია სექტორის შემდგომი ხელშეწყობის ინსტრუმენტს წარმოადგენს, რათა საქართველოს პოტენციალის სრულად ათვისება და მსოფლიოში მისი როგორც მდიდარი, მრავალფეროვანი და მაღალი ხარისხის ტურისტულად საინტერესო ადგილის დამკვიდრება მოხდეს“, განაცხადა სამხრეთ კავკასიაში მდგრადი განვითარების პროგრამების ხელმძღვანელმა, აჰმედ ეიფეიდამ.

კონფერენციაზე საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მზადების პროცესში მოპოვებული ძირითადი შედეგების პრეზენტაცია მოახდინა. მსოფლიო ბანკის მხრიდან, საკონსულტაციო ფირმის Solimar International წარმომადგენელმა ხედვის ფორმულირებასთან დაკავშირებით მსოფლიოში არსებულ გამოცდილებაზე და ტურიზმის სტრატეგიებზე ისაუბრა. მონაწილეებმა სექტორის წინაშე არსებული გამოწვევები და შემოთავაზებული „ხედვა 2025“ განიხილეს.

პრეზენტაციის შემდგომ კონკრეტული საკითხების საჯარო განხილვა გაიმართება. საბოლოო ჯამში დოკუმენტი, სამოქმედო გეგმის სახით, 2015 წლის გაზაფხულზე მომზადდება და მას საქართველოს მთავრობა დაამტკიცებს.

საქართველოში მსოფლიო ბანკის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ ეწვიოთ:

www.worldbank.org.ge

<https://www.facebook.com/WorldBankEuropeCentralAsia>

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ ეწვიოთ:

<http://gnta.ge/>

<https://www.facebook.com/GeorgianNationalTourismAdministration>

საკონტაქტო პირები:

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია:

ეკა სოსელია 995 32 2 43 69 99

e.soselia@gnta.ge

მსოფლიო ბანკი:

ინგა პაიჭაძე 995 32 2 913096

ipaichadze@worldbank.org